



gazeTi gamodis  
1931 wl is 5 ianvridan

# კ ლ ი ო ნ ი

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი

ყოველკვირეული გამოშვება  
ფასი 20 თეთრი

## ეს შენგახება

### კამპანია „ეს შენ გეხება“ პარლამენტს გადაეცა



გამოხატა კრიტიკული მოსაზრება, მათ შორის გაეროს წარმომადგენელმა, ამერიკის ელჩმა საქართველოში.

მისი თქმით, პარალელურად არასამთავრობო ორგანიზაციები საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელს შეიტანენ, სადაც კანონში თითოეულ იმ მუხლს გააბრუნებენ, რომელიც მათი აზრით, გამოხატვის, საკუთრების და სხვა უფლებებს ზღუდავს.

პარლამენტში პეტციის შეტანა აქციის ფონზე მიმდინარეობდა, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ჟურნალისტები მონაწილეობდნენ.

ტელეკომპანია „კავკასიის“ ჟურნალისტი, ალექსანდრე ელისაშვილი პროტესტს რამდენიმე წუთი საყვირის გამაგრებული სტენით გამოხატავდა.

ამ აქციაში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, რადგან ის ყველას ეხება - პოლიტიკოსმა ხელი რომ დაგადოს მხარზე, სამ წლიან პატივობას მოგისჯიან“, - განმარტავს ელისაშვილი აქციაზე მისი ყოფნის მიზეზს და მიიჩნევს, რომ ასეთ აქციებს შედეგი აქვს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჟურნალისტების ერთსულოვნება. გაიხსენეთ ფოტოგრაფების საქმე! ჯერ ჯაშუშობაში ედებოდათ ბრალი, პროტესტის შემდეგ კი, იმდენი თავისუფლება აქვთ, რომ შესაძლოა ახლა ამ აქციას იღებენ კიდევ“.

კამპანია „ეს შენ გეხება“ მონაწილეები ფიქრობენ, რომ საკანონმდებლო ცვლილებები ზღუდავს სამოქალაქო აქტიურობას, საკუთრების უფლებას, გამოხატვისა და პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლებას, მძიმე და გაუმართლებელ პასუხისმგებლობას აკისრებს ამომრჩევლებს, განუსაზღვრელ უფლებამოსილებას ანიჭებს პარტიების დეფინანსების მთავარ მაკონტროლებელს - საქართველოს კონტროლის პალატას, საფრთხეებს უქმნის როგორც თითოეულ მოქალაქეს, ისე სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის მედიას; აუარესებს საარჩევნო გარემოს ქვეყანაში. „ეს შენ გეხება“ კანონში ამ ცვლილებების გაუქმებას ითხოვს. 16 თებერვალს კამპანიას 200-მდე ხელმოძმერი შეუერთდა.

media.ge

## ლიტვის დამოუკიდებლობის დღეს ოზურგეთიდან ულოცავენ



ლიტვის დამოუკიდებლობის დღე 16 თებერვალს აღინიშნება. ეს დღე მეგობარი ქვეყნის მოქალაქეებს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე ალექო მამუშვილმა მიულოცა. ადრესატებს შორისაა საქართველოში ლიტვის რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი, ბატონ იონას პასლაუსკასი, ლიტვის სეიმი, დამმობილებული ქალაქების მერები და საქართველოში მცხოვრები ლიტვის მოქალაქეები.

„ეს მნიშვნელოვანი თარიღია თქვენი რესპუბლიკის ისტორიისათვის, რომლითაც ჭეშმარიტად გაცხადდა ლიტველი ხალხის სწრაფვა დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული ღირებულებებისადმი. ოზურგეთელები თქვენთან ერთად ზეიმობენ ამ დღესასწაულს. ამავდროულად, რომ თქვენი სახით გვეყვას ძლიერი, საიმედო პარტნიორი. გისურვებთ წარმატებებს, მშვიდობასა და წინსვლას“ - აღნიშნულია ალექო მამუშვილის მისალოც წერილში.

რამდენიმე წელია, რაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ლიტვის რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებთან. დამმობილებულ მუნიციპალიტეტებს შორისაა ალიტუსი და როკიშკისი. პარტნიორობა მიმდინარეობს ოფიციალურად ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე. შეთანხმება მოიცავს კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის სფეროში მჭიდრო თანამშრომლობას. წარმატებით ხორციელდება ერთობლივი პროექტები, რომელიც მიზნად ისახავს თვითმმართველობის ეფექტურობის ამაღლებას. ორი ქვეყნის მეგობრობის ნათელი დასტურია ლიტვის ელჩისა და საელჩოს ადმინისტრაციის სტუმრობა „ალეგრობის“ სახალხო დღესასწაულზე.

## ტენდერში შპს „ჰნვ და კომპანია“ გაიმარჯვა

წელს ქ. ოზურგეთის ცენტრში ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, რომელიც ჭავჭავაძის ქუჩაზე, გამსახურდას მოედანზე და „ჭადრების ბაღში“ კეთილმოწყობის სამუშაოებს ითვალისწინებს. ამ პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი ქაფენილების შეცვლას და ახალი ქაფენილების დაგებას ეთმობა.

ამ მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გათვალისწინებული საინჟინრო მომსახურებისათვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ჩაატარა.

ტენდერში სამი პრედენდენტი „საპროექტო“ (ოზურგეთი), „საუკი“ (ფოთი) და შპს „ჰნვ და კომპანია“ (თბილისი) მონაწილეობდა.

ოზურგეთის „საპროექტო“, ტენდერს პირველსავე ეტაპზე გამოეთიშა. ფოთელების ბოლო სატენდერო შემოთავაზება 45 000 იყო, თუმცა თბილისელებმა 44 995 ლარი შესთავაზეს სატენდერო კომისიას და ისინი შეასრულებენ ქ. ოზურგეთში საპროექტო სამუშაოებს.

## ბარაკ ობამამ საქართველოში ახალი ელჩის კანდიდატურა დაასახელა



აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ახალი კანდიდატურა დაასახელა. ჯონ ბასს რიჩარდ ნორლანდი შეცვლის.

პრეზიდენტმა ობამამ ასევე სხვა ქვეყნებშიც დაასახელა ახალი ელჩების კანდიდატურები. მან მადლობა გადაუხადა ყოფილ ელჩებს და ახლებს წარმატებები უსურვა.

აშშ-ის კანონმდებლობის მიხედვით, ელჩების კანდიდატურას კონგრესის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტები განიხილავს, რის შემდეგაც მოხდება მათი დამტკიცება.

საქართველოში აშშ-ის ელჩობის კანდიდატი, 57 წლის დიპლომატი რიჩარდ ნორლანდი გამოცდილი დიპლომატია. იგი სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი რანგის თანამშრომელია - საერთაშორისო საქმეთა მრჩეველის მოადგილეა. 2007-2010 წლებში იყო აშშ-ის ელჩი უზბეკეთში.

2005-2007 წლებში იყო აშშ-ის მისიის უფროსი მოადგილე ქაბულში. 2003-2005 წლებში ამერიკის დიპლომატიური მისიის მოადგილე ლატვიაში. 2002-2003 წლებში მოღვაწეობდა ავღანეთში. მიჰყავდა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების საკითხები. მას ჰქონდა დიპლომატიური კარიერა ჩრდილოეთ ირლანდიაში.

ბილ კლინტონისა და ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისას - ორი წლის განმავლობაში, ხელმძღვანელობდა უშიშროების საბჭოს ევროპულ დეპარტამენტს.

რიჩარდ ნორლანდი 1993 წელს საქართველოში სამშვიდობო პროცესში იღებდა მონაწილეობას.

1988-1990 წლებში იგი მუშაობდა მოსკოვში აშშ-ის საელჩოში. პირველი დიპლომატიური საქმიანობა კი - 1981 წელს ბაპრეინში დაიწყო.

დამთავრებული აქვს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ედმუნდ ე უოლშის სკოლა. არის ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის საერთაშორისო საჯარო პოლიტიკის მაგისტრი.

ფლობს ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, ნორვეგიულ და ლატვიურ ენებს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

<b>თოვლი</b> +1+3 20 თებერვალი, ორშაბათი	<b>თოვლი</b> -3+4 21 თებერვალი, სამშაბათი	<b>ღრუბლიანი, მზე</b> 0+10 22 თებერვალი, ოთხშაბათი	<b>ღრუბლიანი, მზე</b> 0+8 23 თებერვალი, ხუთშაბათი	<b>მზე</b> მზიან +4+10 24 თებერვალი, პარასკევი	<b>ღრუბლიანი,</b> +4+12 25 თებერვალი, შაბათი	<b>მზიან-</b> +6+4 26 თებერვალი, კვირა
--	---	--	---	---	--	--





# ოზურგეთის თეატრის ისტორიდან



—ცაგარელისა, კოტე ყიფიანი. სამსონ ხურციდის მოგონებებიდან ვეპულობთ: „1895 წლის მაისში ოზურგეთის წარმოდგენის გამართვის მიზნით ეწვივნენ; ვასო აბაშიძე, ეფემია მესხი, ნატო გაბუნია—ცაგარელისა უნდა წარმოდგენით კომედია „ხანუმა“, მაგრამ სპექტაკლი ჩაიშალა ძლიერი კოკისპირული წვიმის გამო, რასაც მოჰყვა ნიაღვარი. გადაწყვიტეს წარმოდგენის გადადება ამ დროს თეატრში შემოვიდა აფთაიის კერძო მეპატრონე ვასო ხუნდაძე, რომელმაც შეიძინა ყველა ბილეთი და მოითხოვა სპექტაკლის გაშვება, მაგრამ ვასო აბაშიძემ მტკიცე უარით უპასუხა და მიმართა: მართალია მსახიობები ღარიბები ვართ მაგრამ ჩვენ თავს ნებას არ მივცემთ, რომ ცარიელ სკამებს ვუთმავთ, მეტიად მე პირველად ვარ ოზურგეთში შესანიშნავი გურიის სატახტო ქალაქში, (ს. ხურციდემ, მოგონებანი გურიის თეატრის შესახებ, ო. ი. მ. საქმე №83 გვ. 3)

1895 წელს ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით ოზურგეთში დაარსდა სცენის მოყვარეთა წრე. წრის ამოცანები შეადგენდა: წარმოდგენების გამართვა და შემოსული თანხებით დახმარების გაწევა სპექტაკლებს მიზნით აგრეთვე სპექტაკლების ჩატარება, როგორც ოზურგეთში, ისე სოფლებში (ბახვი, დავაზუ, შემოქმედი, ასკანა და ა.შ.) რითაც საფუძველი ეყრებოდა სცენის მოყვარულთა გაერთიანებას და ქალაქის თეატრის შექმნას. სცენისმოყვარეთა წრეში შედიოდნენ; ალ. წუწუნავა, ვ. ურუშაძე, ს. ხურციდი, ი. ურუშაძე, ნ. ლომჯარია.

1900—იანი წლების დამდეგისათვის სცენის მოყვარეებს შეემატნენ: ვ. ძიძიშვილი, ბ. შარაშიძე, ი. ლლონი, ქალთაგან ს. შარაშენიძე, მ. ლოლუა, მ. ლომჯარია, დ. ჩხარტიშვილი (სცენის მოყვარულთათვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა პირველი ხანებში მსახიობ ქალთა სიმცირე, ვინაიდან ამ პერიოდისათვის მშობლები და ოჯახის წევრები მათ ტუქსადუნდნენ სცენაზე გამოსლისათვის და მსახიობობა სასირცხო საქმეთ მიანდათ.

დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა უბინაობაც. უკვე 1900—იანი წლების დასასრულიდან დასის შემადგენლობა გაიზარდა. ახვერად ისინი ქირაობენ ქალაქის ცენტრში კერძო მეპატრონის თუმანიშვილის სახლის ქვედა სართულს. 1901 წლის დასაწყისში მათ დაქირავებულ შენობას ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა. წარმოდგენების გამართვა გადატანილ იქნა ქალაქის როტონდის შენობაში.

1902 წელს დასი მოძლიელდა მას შეემატნენ ქუთაისიდან ნიჭიერი მსახიობები და სცენისმოყვარეები. ამ პერიოდისათვის აღსანიშნავია ნიჭიერი მსახიობი ქალი ატალო ბებურიშვილი, რომელმაც შესანიშნავად ითამაშა აქესენტი ცაგარელის „ხანუმაში“, ხანუმას როლი.

დასის წარმატების შესახებ სამსონ ხურციდი იგონებს: „1902 წელს ჩვენი თეატრის დასი იმდენად გაიზარდა ისე გაძლიერდა რომ, გადაწყვიტეთ გასტროლების მოწყობა. გავემგზავრეთ ქალაქ ბათუმს. ბათუმის ე.წ. „რკინის თეატრში“, დავდგით სპექტაკლი დ. ერისთავის „სამშობლო“, ცაგარელის „ციმბილიანი“, ვოდველი ანტონ ჩეხოვისა, თეატრის ბათუმში კარგი წარმატება ხვდა, ქონდა სრული შემოსავალი „(ს.ხურციდი, მოგონებანი გურიის თეატრის შესახებ, ო.ი.მ. საქმე №83 გვ. 4)

1903 წელს სცენის მოყვარულთა სად-

გომი—ქალაქის როტონდის შენობაც გადაიწვა ამ პერიოდისათვის ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობები ალექსანდრე წუწუნავა, ვასო ურუშაძე, და სხვები ქუთაისში გადავიდნენ და დასი საგრძნობლად შესუსტდა. ოზურგეთში დარჩენილმა თეატრის მსხვერპლებმა და სცენის მოყვარულებმა: გერმანე გოგიტიძემ, სამსონ ხურციდემ შემოიკრიბა ახალგაზრდა სცენის მოყვარულნი და მართავდნენ წარმოდგენებს.

1912—13 წლებში დასს შემემატა ნიჭიერი ახალგაზრდა ქალი ელენა წუწუნავა. 1913-14 წლის სეზონში ოზურგეთის თეატრის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: ოზურგეთისა და გურიის მოსახლეობამ გადაწყვიტა სასცენო მოღვაწეობის უბილის გამართვა ქართული დრამატული თეატრის უნიჭიერესი წარმომადგენლის ლადო მესხიშვილისათვის. ამის შესახებ სამსონ ხურციდი იგონებს..

„დიდებულ მსახიობს ლადო მესხიშვილს საზოგადოებამ სადგურ ნატანებში დაახვედრა 30 ცხენოსანი ჩაქურაში გამოწყობილი რჩეული ახალგაზრდა. ნატანებთან ლადო ეტლით მუდღელსთან ერთად წამოვიდა. ეტლს მოყვებოდა წინ და უკან 15-15 ჩაქუროსანი გურული ცხენოსანი, რომლებიც გურული მგზავრული სიმღერებით მოაცლებდნენ ძვირფას სტუმარს. საღამოს გაიმართა წარმოდგენა წარმოდგენილ იქნა გუნთას „და-ძმა“, სადაც ლადო მესხიშვილი გაიოზ ფადავას როლს ასრულებდა. მან თავისი ვირტუოზული თამაშით ალტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. დარბაზში ხალხის ტევა არ იყო. უადვილობის გამო ბევრი გარეთ დარჩა. ოუბილარს საზოგადოებამ ძვირფასი საჩუქრები მიართვა, საღამოს დამთავრების შემდეგ სასტუმროში ხელში აყვანილი, გზაზე კი ყვავილებით მოფენილ და ვამას ძახილით მააცილეს. საღამომ უჩვეულო ზეიმის ხასიათი მიიღო. ლადო მესამე დღეს ჩონატაურის საზოგადოების მოწვევით დაბა ჩონატაურს გაემგზავრა, (ს.ხურციდი „მოგონებანი“ გვ.11)

1914-15 წლის სეზონში დასის შემადგენლობაში შედიოდნენ: ცეცილია წუწუნავა, მარუსია სიხარულიძე, პულო ქათარაძე, ყარაძან ქარცივაძე, სამსონ ხურციდი, პარმენ თოთიბაძე, კაკო ლლონი და სხვები. ამ პერიოდისათვის გერმანე გოგიტიძის თაოსნობით ქოზურგეთში, ნესტორ აბაშიძისა და სტანილაკ(სტავა) კალატოზიშვილთან ერთად აგებულ იქნა კინო თეატრის შენობა, ქალაქის ცენტრში, სადაც დღეს სასტუმრო გურიაა. კინო თეატრის შენობა ამავე დროს წარმოადგენდა დრამატული სპექტაკლების გასამართავ ადგილს. თეატრის დეკორატორად მუშაობდა კვალიფიციური სპეციალისტი ბერიანიძე. ახალ შენობაში პირველი სპექტაკლის წარმოსადგენლად მოწვეულ იქნა რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა.

1914 წელს ოზურგეთის თეატრის სცენაზე საიბულეო საღამო გადაუხადეს ცნობილ ქართველ მსახიობ ქალს ნინო ჩხვიძეს. საღამოზე წარმოდგენილი იქნა „მედია“. მედიას როლი თვით ოუბილარმა შეასრულა. იაზონის როლს ასრულებდა მისი მეუღლე მიხეილ ქოლერი (ფილიპონ ქორიძის შვილი), მეფის როლი შეასრულა სამსონ ხურციდემ საღამოს დიდ ძალი საზოგადოება დაეწერო, —სამსონ ხურციდის მოგონებებიდან.

ოზურგეთის თეატრის სცენაზე მოეწყო შავა დადიანის საბენეფისო საღამო. საღამოზე მონაწილეობა მიიღო შავა დადიანმა და ელისო ანდრონიკაშვილმა დაიღვა პიესა „ათას ერთი

ღამე.“ 1916 წლის ზაფხულში ოზურგეთის თეატრს ეწვია ამ თეატრის შექმნისა და მისი ჩამოყალიბების პიონერი ქართული თეატრის რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა. გაზეთ „თანამედროვე აზრი“-ს 1916 წლის 3 სექტემბრის №196-ში გამოქვეყნებული კორესპონდენცია იუწყებოდა: „ქოზურგეთში, 29 აგვისტოს ადგილობრივ თეატრში რეჟისორმა ალ წუწუნავამ გამართა საღამო შედეგი მინარსით: პირველად წარმოადგინეს, მოკლე მაგრამ შინაარსით ძლიერი დრამა „და“, გადმოკეთებული თვით წუწუნავას მიერ ტოლსტოის მოთხრობიდან „დები“, „მეორედ ითამაშეს ვეგუნას კომედია „არიფ-დარია“, დასასრულს დადგეს მეტყველი სურათები, თითქმის უნაკლოდ „ხალხის გულის შესაღებლის“, —ვენატე ნინოშვილის. ბატონმა წუწუნავამ წაიკითხა ნინოშვილის მოთხრობა „განკარგულება“, რომლის მოქმედი გმირი კაცია მუნჯაძე ისე ამოქმედა სცენაზე, ხალხის წინაშე როგორც ეს აღნიშნული აქვს უკდავ ბელლეტრისტს. მთელი ამ სცენის შესრულების დროს ცოცხალი სახე ძველი ნინოშვილისა სრულიად განუნძრევლად და უსიტყვოდ იჯდა საწერ მაგიდასთან კალმით ხელში, ხალხი ძლიერ კმაყოფილი დარჩა..“

1919 წელს თეატრს სათავეში ჩაუდგა რეჟისორ-მსახიობი სოსო ჟივიძე.

1923-24 წლების სეზონზე რეჟისორ-მსახიობ შპეტუაშვილის ხელმძღვანელობით დაიდგა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, იდიპოს მეფის როლი შეასრულა შპეტუაშვილმა. ამავე პერიოდში განხორციელდა შილერის „ფაჩალების“, დადგმა.

ოზურგეთის სცენაზე აღიზარდა ბევრი ნიჭიერი მსახიობი და რეჟისორი. სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდნენ: ს. ჟივიძე, ვ. ნინიძე, შ. ბეჟუაშვილი, კ. ჟღენტე, პ. ფრანგიშვილი, ნ. კახიძე, გ. როსტომა, ს.ახალაძე, და სხვა. ცალკეულ დადგმაზე მუშაობდნენ ცნობილი რეჟისორები: ვ.წუწუნავაშვილი, მ.გამარკელი, ო.ალექსიშვილი და მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი მ.სულთანშვილი. მთელ რიგ დადგმებს ანხორციელებდა ახალგაზრდა რეჟისორი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლ.სინარულიძე. მხატვრებიდან ოზურგეთის თეატრში ცალკეული დადგმანი გააფორმეს ვ.სადამონ-ერისთავამ, მ.თოიძემ, ა.ბახტაძემ, ბ.გორგაძემ და სხვებმა. დიდი ღვაწლი მიუძღვის მხატვარ დეკორატორ ლადო მალაზონიას, რომელიც 1922 წლიდან მოყოლებული წლების მანძილზე იღვწოდა თეატრის სრულქმნილი მხატვრული სპექტაკლებისათვის.

1939-40 წლის სეზონზე თეატრს ესტუმრა აკაკი ვასაძე, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა მახარაძის (ოზურგეთის 1934 წლიდან ეწოდა მახარაძე ფ.მახარაძის პატივსაცემად მ.ლ.) თეატრის კოლექტივს შექმნილი სპექტაკლებისათვის.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი და მსახიობი ს.ახალაძე, რომელმაც თეატრის ახალგაზრდა კოლექტივთან ერთად შექმნა საინტერესო სპექტაკლები: „...პირისპირ“, „...პარტიზანები“, „დაძმა“, „ჩემი შვილი“, „კინ არის დამნაშავე“, 1945—46 წელს სეზონის შეგახებისათვის თეატრს ესტუმრნენ საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამართველოს წარმომადგენლები, მათ შორის აკაკი ხორავა, რომელმაც საზოგადოების წინაშე წარმოთქვა ვ.წუწუნავის სიტყვა და მაღალი შეფასება მისცა თეატრის კოლექტივს. ომის შემდგომ წლებში მთავარ რეჟისორად მუშაობდნენ: გ. როსტომა, ლ.სინარულიძე, ს.ახალაძე, ტ.წეროძე, ო.თალაკაძე. ცალკეული დადგმები განხორციელეს ო.ალექსიშვილმა, ვ.ნინიძემ, მ.ლალიძემ, ბ.ნაკაიძემ, ს.თოიძემ, მ.სულთანშვილმა და სხვებმა.


მახარაძის თეატრის ისტორიის მნიშვნელოვანი ფურცელი იყო 1958 წელს თბილისში პირველი გასტროლები. საგასტროლო რეპერტუარში შეტანილი იყო მბერძენიშვილის „დაჭრილი არწივი“, (რეჟისორი გ.ლალიძე) ვ.კანდელაკის „ამაღლებული სოფელი“, (რეჟისორი თ.წეროძე) და პ.ლორის „მეველუდი“, (რეჟისორი რ.კაცია) იმ პერიოდის პრესა აღნიშნავდა მახარაძელთა წარმატებას.

**მანანა ლომაძე**  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

**გაბრძემბა შიშველი ნომერი 30**



# მურმან ღუნღუა ვუძღვნი პატარებს, ჩემს ბაბულებს.



### ჩემი მსა

ყველა ენები კარგია ინგლისური და ფრანგული, მაგრამ გახსოვდეთ ღმერთების ენა მხოლოდ ქართული.

### პალა სიკეთისა

ბოროტება არ იწვის, წყალშიც არ იძირება, ერთი ხერხით-სიკეთით იგი განივმირება. ჩემო ბაბულებო თქვენც სიკეთით იღვწეთ, ბოროტებას დათრგუნავს, თქვენ სიკეთეს მიაღწევთ.

### გამოცანები

ხან ნამგალსა ჰკავს, ხან ბურთსა ხან გაჭრილ დიდ ხაჭაპურსა, სადაც მიდიხარ, თან მოდის, გზასაც გინათებს ღამობით; გამოიცანი, რა მოგვის?

(ცყაფოსე)

\* \* \*

ამას მლიქვნელზე ამბობენ ხშირად, მასავით უყვარს კულის ქიციანი, ის კაცის დასტურ მეგობარია, სახელი მითხარ, ნუ კი იციანი.

(ძაპარ)

\* \* \*

თუ ფრინველის სახელის წინ დასვამთ ერთ-ერთ ასოს, თქვენ მიიღებთ ისეთ ცხოველს, რომლის ხორციც ძვირად ფასობს.

(ფეფიძე)

\* \* \*

ფრინველია ოდა სახლშიც ის იკეთებს ბუდეს, ფრენის დროსაც ორად გაშლის თავის კონტა კუდებს; ბავშვებს მისი სიყვარული მუდამ გულში უღვევთ.

(ძაფრეძე)

\* \* \*

ფრინველია მოღულუნე არვის არ მტრობს, არ ჰყავს მტერი, ძია ნოეს შიკრიკი და კაცთა მოღვმის გადამჩენი.

(ძაფრეძე)

\* \* \*

ის თევზების მეფე არის, წყალი უყვარს ანკარა, სწრაფი არის ვითარც ქარი, ლამაზი და პატარა.

(იყვანაძე)

## ქიმი ბირჩხვთ

# პრიღეთ ბრისს!

ცვალებად ამინდებთან ერთად, ვირუსული ინფექციების მატებაც მკვეთრად გამოიხატა. გრიპი ვირუსით გამოწვეული ზედა სასუნთქი გზების მწვავე ინფექციური დაავადებაა.

არსებობს გრიპის ვირუსის 3 ტიპი: ა, ბ, ც. ბ და ც ტიპები იწვევენ გრიპის პანდემიას. ვირუსი, დროდადრო ორგანიზმში ფეხს აკიდებს და ძლიერდება, სწორედ ამიტომ იგი სწრაფად ვრცელდება. ამ დროს ხდება ორგანიზმში ინფექციის აფეთქება, პანდემიის (მასიური გავრცელების) განვითარება და ლეტალობა (სიკვდილიანობა). წარმოიქმნება მუტანტი შტამები, ამის შემდეგ კი ვირუსი იძენს უნარს სხვა ორგანიზმში გავრცელებისათვის.

დასაწყისში დამახასიათებელია სიმშრალის შეგრძნება ხასაში, ფარინგიტი, საყლაპავი ლორწოვანი გარსის ანთება. ცოტა ხანში, ადვილი შესაძლებელია, გაჩნდეს თვალის კაკლების მიდამოში ტკივილის შეგრძნება, განსაკუთრებით, თვალის მიძრაობის დროს. ყნოსვა დაქვეითებულია, სძენა და მხედველობა, პირიქით, მომეტებულია. ზოგ პაციენტს აღენიშნება ცრემლდენა, სურდო, მშრალი ხველა, უმადობა, გაღიზიანება და აღზნებადობა. გრიპი სასუნთქი გზების მეშვეობით, გადადის ერთი ადამიანიდან მეორეზე. ამან შეიძლება გამოიწვიოს როგორც მსუბუქი, ასევე მძიმე დაავადება. არ არის გამორიცხული გრიპის გართულებაც და შეიძლება იგი მოგვევლინოს ბაქტერიული პნევმონიით, ანუ ფილტვების ანთებით, ასევე შეიძლება ამ დროს გამოვლინდეს ისეთი ქრონიკული

დაავადებები, როგორცაა გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ბრონქიალური ასთმა და დიაბეტი. პატარებში ხშირია სინუსებისა და ყურის ინფექცია. მოხუცებში და პატარებში ამ დროს იმუნიტეტი დაბალია.

როგორ მივხვდეთ ვირუსული ინფექციის ნიშნებს? გრიპისათვის დამახასიათებელი ნიშნებია: სიცხე (38-39 გრადუსი), თავის ტკივილი, ზოგადად დაღლილობა, სისუსტე, ხველა, ყელის ტკივილი, გულსრევის შეგრძნება, ლებინება და ღიარია (კუჭის აშლა).

ვირუსული ეპიდემიის გართულებებიდან აღსანიშნავია სისხლჩაქცევები კანსა და ლორწოვან გარსზე; სისხლდენა ცხვირიდან. ავადმყოფის დათვალიერებისას ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ ავადმყოფის სახის კანსა და გახშირებულ სუნთქვას, პულსის სისწიერს, არტერიულ წნევას.

პროფილაქტიკისათვის საჭიროა ვაკცინაცია, რომელიც ყოველწლიურად უნდა ჩაუტარდეთ პაციენტებს, განსაკუთრებით კი პატარებს. მოვერიდოთ თხლად ჩაცმას, არ მივიდეთ ძალიან ცივი სასმელები, გამოვიყენოთ პირბადე. დავიცვათ ჰიგიენა, სახლში ყოველი შესვლის შემდეგ დავიბანოთ ხელი.

თვითმკურნალობას მოვერიდოთ და დროულად მივმართოთ ექიმს, რათა ავიცილოთ მოსალოდნელი გართულებები.

**აპთანდილ ჩხიკვიშილი,**  
მედიცინის აკადემიური  
ლოქტორი.

## საქართველოს პირველობაზე მძლეოსნობაში

ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა მძლეოსნობაში 1995-97 წლებში დაბადებულთა შორის. ამ პირველობაზე ოზურგეთის სასპორტო სკოლის მძლეოსანთა ნაკრები გუნდიც მონაწილეობდა, (მწვრთნელი მარინა კოტრიკაძე).

აღსანიშნავია სოფო შათირიშვილის წარმატება, რომელიც საქართველოს ჩემპიონი გახდა ბირთვის კერაში.

ოზურგეთელი შოთა ზოიძე საწვრთნელ პროგრამას გადის ქ. თბილისში. იგი პირველობაზე კონკურსებზე მონაწილეობდა და 60. მეტრზე რბენაში III ადგილი დაიკავა.

ასევე პირველობაზე გამოდიოდნენ ელენე ტოლსტოვა, ანი მარგალიტაძე, ანი მუჯირი, თემო ანთაძე და დათო მარგალიტაძე.

საქართველოს პირველობის პარალელურად ბელორუსიის ღია პირველობა ჩატარდა, სადაც რვა ქვეყნის მძლეოსანთა ნაკრები გუნდი მონაწილეობდა. ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღზრდილმა ამ ტურნირზე 400მ. სპინტერულ დისტანციაზე III ადგილი დაიკავა და სპორტის ოსტატის ნორმატივი

**პრობლემატიკა**  
**გამკვეთი**  
**დასაუფრთხილებლად**  
**დაკავშირებით?**  
**დარეკით:**  
**27 44 67;**  
**(595)30 50 58.**  
**ოზურგეთის**  
**დასაუფრთხილების სამსახური.**

## ხსოვნა

# ზურაბ ქარცივაძე



ოზურგეთელების 70-იანელების ღირსეული წარმომადგენელი იყო ზურაბ ქარცივაძე.

მშობლების, ანსამბლ „შვიდკაცას“ სოლისტის ნოდარ ქარცივაძის და მისი მეუღლის ლამარა დლონტის ოჯახი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი იყო ჩვენს ქალაქში. აქ იკრიბებოდნენ იმ დროის ქალაქის კოლორიტი ადამიანები.

ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლის 10-ბ და №2 საშუალო სკოლის 10-ა კლასების 1972 წლის ორთავე გამოშვებას ჰქონდა პრეტენზია ზურიკოს თანაკლასელობაზე. საქმე ის არის, 10 წლის განმავლობაში 3-ჯერ „იმოზ ზურა“ მან ამ ორ სკოლას შორის.

„თავადი ქარცივაძე“—ეს მას №1 სკოლის ერთ-ერთმა პედაგოგმა უწ-

ოდა. რომ იგი თავისი გარეგნობით, სიკონტაგით, თავაზიანობით, მართლაც ირგებდა ამ ტიტულს.

სკოლის შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა, დაოჯახდა და თბილისში გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ ოზურგეთი იყო მისთვის მხოლოდ მშობლიური.

მუდამ იყო აქაურების ჭირის და ღვინის გამზიარებელი.

წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის ავტობაზაში განყოფილების უფროსად, ვაკის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში.

ოჯახის ტრადიცია ღირსეულად გააგრძელა და მართლაც სანიშნო ოჯახი ჰქონდათ ზურაბს და ნინო სარიშვილს. შესანიშნავი შვილები აღზარდეს—გიორგი, ნოდარი. ორთავნი, გარდა იმისა, რომ კარგი განათლება მიიღეს, ბაბუის მემკვიდრეობას აგრძელებენ.


ზურაბის ერთ-ერთი დიდი ღირსება მეგობრების განსაკუთრებული სიყვარული იყო. თუმცა ცხოვრების უღმობელობამ არაერთი მეგობრის სიცოცხლე წარიტაცა. ნუგზარ ნაკაძე, თენგივ მჭავია, ოლეგ ცეცხლაძე, მარინა გირკელიძე, ლიანა დოლიძე. ეს მართლ №1 სკოლის თანაკლასელებიან.

ახლა კი, მისი ნაადრევი წასვლით კიდევ ერთი ადამიანი შეემატა ზეციურ საქართველოს.

## ბონდო თუთბერიძე

გარდაიცვალა სუბტროპიკული მეცენარეობის დარგის ცნობილი სპეციალისტი, სელექციონერი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, ღირსებისა და საპატიო ნიშნის ორდენების კავალერი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკულ კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი ბონდო თუთბერიძე.

იგი დაიბადა 1925 წლის 27 სექტემბერს ქუთაისის რაიონში, სოფელ პატრიკოში და იქვე მიიღო საშუალო განათლება. 1943-1950 წლებში ბონდო თუთბერიძე სამხედრო სამსახურშია. 1958 წელს დაამთავრა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით. 1960 წლიდან ბონდო თუთბერიძე მუშაობას იწყებს ანასეულში ჩაის, სუბტროპიკულ კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში, სადაც მან იღვაწა 52 წლის განმავლობაში და გააარა შემოქმედებითი გზა უმცროსი მეცნიერ თანამშრომლიდან სუბტროპიკული, ტექნიკური და კაკლოვანი კულტურების ჯიშთა შესწავლის ლაბორატორიის გაგების თანამდებობაზე, ხოლო 2006 წლიდან გარდაცვალებამდე ინსტიტუტის სელექციის, ბიოქიმიისა და ფიზიოლოგიის ლაბორატორიის მთავარი მეცნიერთანამშრომლის პოზიციაზე აგრძელებდა კვლევით საქმიანობას. 1967 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1991 წელს სადოქტორო დისერტაცია. მისმა სადოქტორო დისერტაციამ „ციტრუსოვანთა სელექციის მეცნიერული საფუძვლები მათი მკაცრი პირობებისადმი



ადაპტაციის უნარის ამაღლების მიზნით“ ოფიციალური ოპონენტებისა და სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს მაღალი შეფასება დაიმსახურა. ბონდო თუთბერიძე იყო 110 სამეცნიერო ნაშრომის და მონოგრაფიის „ციტრუსების შორეული „ჰიბრიდიზაცია“ ავტორი. სამუშაო მაგიდაზე დარჩა მეორე მონოგრაფიის „ციტრუსების საძირების სელექცია“ ხელნაწერი, რომლის გამოცემა ავტორმა ვერ მოასწრო. ისი უშუალო ხელმძღვანელობით დაცულია არაერთი სამეცნიერო საკვალიფიკაციო ნაშრომი.

წავიდა ჩვენგან კეთილსინდისიერი, მართალი, თავის თავზე, ოჯახსა და ქვეყანაზე შეყვარებული კაცი, რომელსაც ბოლო მომენტამდე არ შეუწყვეტია ფიქრი ზვალინდელ საკეთებელ საქმეზე. მისი ნათელი დიდხანს დარჩება მშობლიურ სამეცნიერო კოლექტივში.

**საქართველოს აკადემიის უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკულ კულტურებისა და ჩაის**